ნანული კაკაურიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
Nanuli.kakauridze@atsu.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2025.10.30

შოპენჰაუერული *ნებისა* (*Wille*) და *წარმოდგენის* (*Vorstellung*) რეცეფცია თომას მანის ესეში „შოპენჰაუერი“

საკვანძო სიტყვები: თომას მანი, *ნებისა და წარმოდგენის რეცეფცია,* ესე „შოპენჰაუერი“

არტურ შოპენჰაუერი გერმანული კლასიკური იდეალისტური ფილოსოფიის მნიშვნელოვანი წარმომადგენელია. მისი მთავარი ნაშრომის - ,,სამყარო ვითარცა ნება და წარმოდგენა" (1818)- მიმართ ინტერესის გაღვივება იწყება XIX საუკუნის II ნახევრიდან. არტურ შოპენჰაუერის მიერ ჩამოყალიბებული ფილოსოფიური სისტემის ანალიზი დღესაც მრავალი სამეცნიერო შრომის კვლევის საგანს წარმოადგენს. (იხ.:Birnbacher (Hrsg.): 1996., Möbuß: 2010., Safranski: 2010., Spierling: 2002., Spierling (Hrsg.): 1987., Malter: 2010. და სხვ.)

გერმანულ სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია თომას მანის დიდი ინტერესი შოპენჰაუერის ფილოსოფიისადმი. დიდი გერმანელი მწერლისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ლიტერატურაში მუდმივად ხაზგასმულია თომას მანის განსაკუთრებული დამოკიდებულება სამი დიდი შემოქმედის - ე. წ. „სამვარსკვლავედის“ - მიმართ (ნიცშე, შოპენჰაუერი, ვაგნერი). სწორედ ეს დამოკიდებულება ერთ-ერთი მათგანის მიმართ აისახა მის ესეში „შოპენჰაუერი“, რომელიც მწერლის მიერ ემიგრაციის პერიოდში, 1938 წელს, ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოფნისას შეიქმნა ამერიკის შოპენჰაუერის საზოგადოების წინადადების საფუძველზე.

შოპენჰაუერის შესახებ ესეს შექმნამდე თომას მანი ამერიკული პერიოდის დღიურებში აღნიშნავდა, რომ ინტერესით წაიკითხა შნაიდერის წიგნი შოპენჰაუერის ბიოგრაფიაზე, 1937 წლის 23 ივლისს იგი თავის დღიურში აღნიშნავდა: „Studien über die Schopenhauers“. („შტუდიები შოპენჰაუერების შესახებ“), რაც უკავშირდებოდა მის მიერ მასალის მოძიებას რომანისათვის „ლოტე ვაიმარში“, სადაც, როგორც პერსონაჟი, არტურ შოპენჰაუერის დედა - ადელე შოპენჰაუერი, ჩნდება.

თომას მანის ესე „შოპენჰაუერი“ პირველად ამერიკაში გამოიცა 1939 წელს, ხოლო შემდგომ ინგლისში. მომდევნო წლებში ესე ითარგმნა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში (ჰოლანდია, საფრანგეთი, დანია, ნორვეგია, ესპანეთი, ბულგარეთი, პორტუგალია, შვედეთი, შვეიცარია, ჩეხეთი, საბერძნეთი, იაპონია და ა.შ.).

თომას მანის ინტერესი შოპენჰაუერის ფილოსოფიისადმი და მისი გამოყენება მხატვრულად ტრანსფორმირებული ფორმით ინტენსიურად ჩნდება მწერლის შემოქმედებაში.(იხ.: Adam: 2012., Reents: 1995., Heftrich E., Wysling H.:1986.)

თომას მანი თავის ესეში შოპენჰაუერის ფილოსოფიას აღიქვამს როგორც ხელოვნების ფილოსოფიას *par exellence* და არა მარტო იმიტომ, რომ იგი, უმეტეს წილად, როგორც

თავად მიუთითებს, ხელოვნების ფილოსოფიაა, არამედ იმიტომაც, რომ აგებულია ნათლად, ელეგანტურად, იუმორით, კლასიკური სიწმიდით, ენისა და სტილის სინათლითა და სიმკაცრით, რაც, მწერლის აზრით, არც ერთ სხვა გერმანელ ფილოსოფოსს არ გაუკეთებია. ეს ფილოსოფია, მწერლის აზრით, „ხელოვნების ფილოსოფიაა“: „Die Philosophie Arthur Schopenhauers ist immer als hervorragend Künstlerisch, ja als Küntlerphilosophie *par exellence* empfunden worden. Nicht weil sie in so hohem Grade, zu einem so großen Teile Philosophie der Kunst ist“ (Mann, Th., 1955: 295).

თომას მანს თავის ესეში მოჰყავს მსოფლიოში ხელოვანებისა და მოაზროვნეების შეხედულებები შოპენჰაუერზე, აღნიშნავს, რომ ტოლსტოი მას უწოდებდა „ყველაზე გენიალურს ადამიანთა შორის“, რიჰარდ ვაგნერისათვის შოპენჰაუერის მოძღვრება იყო „ზეცის ჭეშმარიტი საჩუქარი“, ნიცშე კი მასში ხედავდა დიდ მოძღვარს და თავის შრომაში „დროის შეუსაბამო შეხედულებები“ („Unzeitgemäße Betrachtungen“) მას მიუძღვნა ერთი თავი სათაურით: „შოპენჰაუერი როგორც აღმზრდელი“ („Schopenhauer als Erzieher“), ხოლო ნიცშეს შრომა - „ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან“ („Die Geburt der Tragödie aus dem Geiste der Musik“) -თომას მანის აზრით, შექმნილია შოპენჰაუერული აზროვნების ფორმით.

თომას მანი ესეში მიუთითებს, რომ შოპენჰაუერის აზროვნების ისტორია უკან უბრუნ-დება დასავლური აზროვნების საწყისებს - უპირველესად კი, კონკრეტულად, პლატონის ფილოსოფიას, რომლის მიხედვით საგნებს რეალური ყოფიერება არ გააჩნიათ: არსებობს მხოლოდ იდეები როგორც საგანთა წინარე ფორმები: „Die Dinge dieser Welt, lehrte der griechische Denker, haben kein wahres Sein: sie werden immer, sind aber nie“. (Mann, Th., 1955: 296).

პლატონის გარდა, თ. მანის აზრით, შოპენჰაუერის მეორე მასწავლებელი, რომელიც მას დაეხმარა შეექმნა თავისი აზროვნების სისტემა, იყო კანტი, რომლის ფილოსოფია ძალიან ჰგავს ათენელი ბრძენის მოსაზრებებს. შოპენჰაუერი ორთავეს უწოდებდა „დასავლეთის უდიდეს ფილოსოფოსებს“. მან იმემკვიდრა პლატონის „იდეა“ და კანტის „საგანი თავისთავად“. ამ უკანასკნელს შოპენჰაუერმა უწოდა „ნება“, რომელიც, მისი გაგებით, ყოფიერების პირველი მიზეზია, იგი არის მთელი ხილული სამყაროსა და ცხოვრების ყველა მოვლენის წყარო. ამიტომ არის იგი ცხოვრების, სიცოცხლის ნება.

თ. მანის აზრით, შოპენჰაუერულ *ნებას* სურს მუდამ ერთი რამ - სიცოცხლე. ავტორი სვამს შეკითხვას - რატომ?

მწერლის აზრით, *ნება* არის უპირობო ინსტინქტი, იგი არამოტივირებული და დამოუკიდებელი, თავისთავად არსებულია. ამრიგად *ნება, საგანი თავისთავად* (*Ding an sich*) სივრცის, დროისა და მიზეზობრიობის გარეშე, ბრმად, ყოველგვარი მოტივაციის გარეშე ითხოვს ყოფიერებას, ცხოვრებას და ობიექტივაციას, რაც გარდაიქმნება სიმრავლედ, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ *principium individuationis*, რაც ნიშნავს სიმრავლის შესაძლებლობას, ნების ობიექტივაციას დროსა და სივრცეში: „Der Wille wollte nur Eines: das Leben. Und warum wollte er es?... Der Wille also, dieses außerhalb von Raum, Zeit und Kausalität stehende An sich der Dinge, verlangte blind und grundlos, aber mit wilder und unwiderstehlicher Gier und Lust nach Sein, nach Leben, nach Objektivisierung, und diese Objektivisierung vollzog sich auf die Weise, daß aus seiner ursprünglicher einheit eine Vielheit wurde, was treffend als das princirium indivituationis zu zu bezeichnen war“. (Mann, Th., 1955: 303).

მწერლის აზრით, შოპენჰაუერის მიხედვით სამყარო მთლიანად არის ნების გამოხატულება და პროდუქტი, მისი გამოხატულება დროსა და სივრცეში. ამავდროულად

სამყარო არის ჩვენი წარმოდგენა (Vorstellung) შემმეცნებელი ინტელექტის მეშვეობით. ნება წარმოშობს ინტელექტის ნაპერწკალს, რომ სამყარო წარმოდგენად აქციოს.

თ. მანის აზრით, შეცდომაა, თუ ადამიანი წარმოიდგენს, რომ მისი ნება ექვემდებარება ინტელექტის მითითებებსა და ბრძანებებს. სინამდვილეში პირიქითაა: ინტელექტი, შოპენჰაუერის მიხედვით, ნებას ექვემდებარება, ანუ, გაიაზრებს ჩვენს სწრაფვებს. აქვე თომას მანი ხაზგასმით მიუთითებს, რომ, მართალია, შოპენჰაუერმა კანტისაგან წამოიღო „საგანი თავისთავად", ხოლო პლატონისაგან კი „იდეები", მაგრამ მის მიერ გონების ასეთმა შეფასებამ იგი არ აქცია არც კანტიანელად და არც პლატონის მიდევრად.

საინტერესოა თ. მანის მოსაზრება, რომ ნების ფილოსოფოსად და პესიმისტად აღიარებული შოპენჰაუერი, ამავდროულად, ნების ფსიქოლოგი - ფილოსოფოსია. 199.

თომას მანის აზრით, შოპენჰაუერული ნება უპირისპირდება ადამიანის სიმშვიდეს, იგი არის რაღაცისადმი მუდმივი სწრაფვა, ვნება, სურვილი. ნების სამყარო მხოლოდ ვნებისა და ტანჯვის სამყაროა: „Wille, als Gegenteil ruhenden Genügens, ist ab sich selbst etwa fundamental Unseliges, er ist Unruhe, Streben nach etwas fudamental Unseliges, er ist Unruhe, Streben nach etwas, Notdurft, Lechzen, Gier, Verlangen, Leiden, und eine Welt des Willens kann nichts anderes, als als die Welt des Leidens sein." (Mann, Th., 1955: 203).

თ. მანის აზრით, კაცობრიობას ეჭვიც კი არა აქვს, რომ ინტელექტი შუამავალია. იგი კითხვას სვამს: განა ინტელექტი ნების პროდუქტი არ არის? საგანთა განსაზღვრული მდგომარეობის გამო სასწაული ხდება: შემეცნება სცილდება ნებას, სუბიექტი აღარ არის ინდივიდუაცია და იქცევა ნებისაგან თავისუფალ შემმეცნებელ სუბიქტად. ამ მდგომარეობას ეწოდება *ესთეტიკური*. ამას თ. მანი უწოდებს შოპენჰაუერის დიად და ყველაზე ღრმა ცდას (*Versuch*), რადგან ხელოვნებას ეხება. ამ შესაძლო პირადული განცდის საფუძვლად კი ავტორს მიაჩნია პლატონისა და კანტის პოზიციები. თ. მანს მოჰყავს კანტის მოსაზრება „დაუინტერესებელი ხელოვნების" შესახებ. მისი აზრით, „დაუინტერესებელი", ანუ ნებისაგან დამოუკიდებელი, - არის ესთეტიკური ტკბობა. შოპენჰაუერისათვის სწორედ ეს „დაუინტერესებელი" ნიშნავს ნებასთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტას. ეს არის ნებისაგან თავისუფალი, ნათელი და წმინდა „წარმოდგენა" („Vorstellung"), ჭვრეტა. „Aber der Intellekt ist ja der produkt des Willens, sein Werkzeug, seine Laterne im Dunkel, zu seinem Dienste allein bestimmt? - So ist es und bleibt es. (Mann, Th., 1955: 309).

თომას მანი დაასკვნის, რომ შოპენჰაუერთან ნებისაგან თავისუფალი ინტელექტი წმინდა შემეცნებად გარდაისახება გენიოსის ობიექტურობაში და, აქ, შოპენჰაუერის აზრით, უკვე თავს იჩენს ნების ტყვეობიდან გათავისუფლებული შემეცნება. თომას მანს თავად ავტორის ციტირება მოჰყავს იმის შესახებ, რომ ადამიანი ამ წუთებში იშორებს ნების დამამცირებელ უღელს, იშორებს სურვილების კატორღას, რადგან „იქსიონის ბორბალი უძრავია": „... das Rad des Ixion steht still"

(Mann, Th., 1955: 311), თუმცა თ. მანი იქვე მიუთითებს, რომ ეს არ არის საბოლოო ხსნა, რადგან ესთეტიკური მდგომარეობა იმ სტადიის წინა ეტაპია, როდესაც დროებით დამშვიდებული ნება კვლავ თავს იჩენს: „Das Künstlertum, fand Schopenhauer, das Stehenbleiben bei dem ideell durchleuchteten Bilde war nicht die endgültige Endlösung. Der ästhetische Zustand war nicht die Vorstufe eines vollendeteren, in welchem der in jenem nur vorübergehend befriedete Wille auf immer von der Erkenntnis überstrahlt, aus dem Felde geschlegen und vernichtet wurde. Die Vollendung des Künstlers war der Heilige." 312 germ ასევე:„Die Welt war nur ein Spiegel dieses Willens, und alles darin gehörte zum Ausdruck dessen, was er wollte, war so, weil er so wollte." (Mann, Th., 1955: 314)

თომას მანის აზრით, შოპენჰაურის შრომის სათაური ერთი შეხედვით თითქოს მშრალი და პროზაულია, მაგრამ იგი წარმოაჩენს მას როგორც ადამიანს, რომელსაც ღრმა სულიერება აქვს. ეს წიგნი ფენომენალურია, მისი მთავარი აზრი, ფორმულის მსგავსად, შეკუმშულია, იგი მთლიანი, ოთხნაწილიანი სიმფონიაა. შოპენჰაუერი ძალზედ მუსიკალურია და თავისი შრომის მესამე ნაწილში - („ხელოვნების ობიექტი“) - განადიდებს მუსიკას ისე, როგორც ეს არც ერთ ფილოსოფოსს არ გაუკეთებია, რადგან მუსიკა არის ნების უშუალო ასახვა და წარმოადგენს ფიზიკური სამყაროს მეტაფიზიკურ საწყისს, ანუ არის საგანი თავისთავად. მუსიკაში ინტელექტი ემსახურება ნებას.

თომას მანი მიუთითებს შოპენჰაუერის ანტირევოლუციურობაზე, რომელიც, მისი აზრით, გამომდინარეობს მისივე მსოფლმხედველობიდან: მას ჰქონდა თავისი მორალური მოსაზრებები, ეთიკური პესიმიზმი, განწყობა „ჯვრის, სიკვდილისა და საფლავისა“, და იგი, როგორც პესიმისტური ეთიკის მქონე, იყო ანტირევოლუციონერი, ვერ იტანდა ოპტიმისტურ დემაგოგიას აწმყოსა და პროგრესული მომავლის შესახებ. ეს ყველაფერი, მწერლის აზრით, იყო გერმანული მოქალაქეობრიობის სულიერების მახასიათებელი, რომელიც ინტიმური, მშობლიური, მიმზიდველი, ნამდვილად გერმანული და სულიერებით სავსეა. შოპენჰაუერს ახასიათებდა კონსერვატიული რადიკალიზმი, გაუცხოება დემოკრატიული პრაქტიკულობისაგან, იგი სულის სიღრმემდე გერმანელი ბიურგერი იყო.

თ. მანი ასევე წარმოაჩენს შოპენჰაუერის პიროვნულ თვისებებს, მიუთითებს მის „ძველმოდურ ელეგანტურობაზე“, კანტისებურ პედანტურობაზე, პუნქტუალობაზე. აქვე იხსენებს გოეთესადმი მიწერილ სიტყვებს, რომ მისი წარმატება და ქმედება განაპირობა ერთგულებამ და კეთილსინდისიერებამ, რაც მან პრაქტიკიდან თეორიულ-ინტელექტუალურ სფეროში გადაიტანა.

თ. მანის დახასიათების მიხედვით, შოპენჰაუერს აინტერესებდა სხვადასხვა საუკუნის ევროპული ლიტერატურა, ფლობდა ინგლისურ, ფრანგულ, იტალიურ, ესპანურ ენებს, რასაც მის შრომებში მრავალი ციტირება ადასტურებს. მისი ქმნილებები საყოველთაო, ზესაგნობრივი, ზემეცნიერული, გლობალურად ლიტერატურულია, იგი გოეთეს თანამოაზრედ მიიჩნევდა თავს.

მწერლის აზრით, შოპენჰაუერი პატივს მიაგებდა ადამიანს, როგორც იდეას. ჰუმანიზმის ეს ფორმა მორგებულია მის პოლიტიკურ სკეპტიციზმსა და ანტირევოლუციურობასთან. მისი აზრით, ადამიანი თაყვანისცემის ღირსია, პესიმიზმისა და ადამიანურობის შეერთება - არის შოპენჰაუერის მიერ შემენილი სულიერი ცდა, ისე, რომ ერთი მეორეს არ გამორიცხავს.

თ. მანი მიუთითებს შოპენჰაუერის ექსტრემალური ხასიათის მოსაზრებებზე, რომელ-თაც რომანტიკულს უწოდებს ამ სიტყვის ფერწერული გაგებით. ეს აშორებს შოპენჰაუერს გოეთესაგან იმდენად, რასაც ის თავად ვერ წარმოიდგენდა. შოპენჰაუერი აზროვნებს სრულიად კანტისებურად, როდესაც ესთეტიკურ მდგომარეობას განსაზღვრავს როგორც შემეცნების დაშორებას ნებისაგან, როდესაც სუბიექტი უკვე აღარაა ინდივიდუალური, როცა იგი თავისუფალია სუბიექტური შემეცნების ნებისაგან. კანტი, ბუნებით არაემოციური, არასდროს განსაზღვრვდა „საგანს თავისთავად“, როგორ ცნებას, ინსტინქტს, ბნელ ვნებას, რომელთაგან დროებითი გათავისუფლება იქნებოდა ესთეტიკური მდგომარეობა. კანტის დაუინტერესებელი ჭვრეტა არის არა ნებისა და წარმოდგენის რომანტიკულ-ზნეობრივი დუალიზმის რეზულტატი, არა იმ სამყაროს კონცეფცია,

რომელიც, ერთის მხრივ, გრძნობიერებისა და ასკეზის კონტრასტზეა აგებული, და მეორეს მხრივ, კი ცივი სპირიტუალიზმის შედეგია. ესთეტიკური მდგომარეობის აღსაწერად კანტმა ვერ იპოვა ნათელი მადლიერების სიტყვები, შოპენჰაუერს კი ისინი მრავლად აქვს., რადგან ის არის ემოციებისა და იმპულსების ფილოსოფოსი.

თომას მანის აზრით, შოპენჰაუერს შეეძლო ეთქვა, რომ კაცობრიობამ მისგან ისეთი რამ ისწავლა, რასაც არასდროს დაივიწყებს: „Die Menscheit hat Einiges von mir gelernt, was sie nie wieder vergessen wird“. (Mann, Th., 1955: 322-223).

ესეს ბოლო ნაწილში თომას მანი გამოხატავს თავის პოზიციას პესიმიზმისა და ჰუმანიზმის ურთიერთმიმართების შესახებ. მწერლის აზრით, მის თანადროულ ეპოქაში ჰუმანიზმი მძიმე კრიზისშია, შოპენჰაუერის პესიმიზმში კი, მისი აზრით, სწორედ ჰუმანიზმია. მოძღვრების პესიმისტურ შეფერილობას იგი მიჰყავს სამყაროს უარყოფისა და ასკეტიზმის გაიდეალებისაკენ, მაგრამ შოპენჰაუერმა ადამიანი აამაღლა მარტივ ბიოლოგიასა და ბუნებაზე, აქცია მისი სული ნების გარდაქმნის სცენად და მთელი სამყაროს ხსნის შესაძლებლობად - ეს ყოველივე მისი ჰუმანიზმია: „Es ist der Wunsch einer Gegenwart, deren Humanitätsgefühl sich in schwerer Krise befindet, das Erleblis der eigenartigen Verbindung zu überliefern, welche Melancholie und Menschenstolz in diese Philosophie eingegangen sind. Schopenhauers Pessimismus, das ist seine Humanität.“ (Mann, Th., 1955: 344).

თომას მანის აზრით, მეოცე საუკუნის პირველი სამი ათეული წელი ხასიათდება კლასიკური რაციონალიზმისა და ინტელექტუალიზმის მიუღებლობით. პესიმისტური შემეცნება გადაიზარდა ბოროტებაში, ჭეშმარიტების აღიარება - ზიზღში, რომელიც მიმართულია სულიერების წინააღმდეგ. საჭიროა წონასწორობის აღდგენა და ამაში შესაძლოა შოპენჰაუერის ფილოსოფია დაგვეხმაროს, რადგან შოპენჰაუერის პესიმისტური ჰუმანიზმი მიემართება მომავალს. შოპენჰაუერის სულიერი მგრძნობელობა, მისი მოძღვრება, ცხოვრება, აზროვნება და ფილოსოფია, თომას მანის აზრით, არ იყო მხოლოდ ტვინი აზროვნების შედეგი, არამედ იყო გულითა და გონებით, სულითა და სხეულით ქმედება, მოღვაწეობა, რომელსაც შეუძლია დაგვეხმაროს ადამიანურობის აღდგენაში.

ლიტერატურა:

-Adam, Theresa (2012): Die willensmetaphysischen Einflüsse Schopenhauers auf das Wirken Thomas Manns. Pre-University Paper. 2012. München, GRIN Verlag.

-Birnbacher, Dieter (Hrsg.)(1996): Schopenhauer in der Philosophie der Gegenwart. Königshausen und Neumann Verlag, Würzburg 1996.

-Heftrich E., Wysling H.(1986): Thomas Mann-Studien VII. Internationales Thomas Mann Kolloquium 1986 in Lübeck. 1986 Bern.

-Mann, Thomas (1955):Gesammelte Werke. Zehnter Band. Aufbau-Verlag Berlin, 1955.

- Möbuß, Susanne (2010): Schopenhauer für Anfänger: Die Welt als Wille und Vorstellung. Deutscher Taschenbuch Verlag, München 2010.

- Reents, Edo (1995):Von der Welt als Vorstellung zur Welt als Wille:Schopenhauer und Thomas Manns „Enttäuschung“. In: Thomas Mann Jahrbuch 1995. N8. Verlag Vittorio klostermann GmbH.

- Safranski, Rüdiger (2010) : Schopenhauer und die wilden Jahre der Philosophie. Hanser, Wien/München 2010.

- Spierling, Volker (2002): Arthur Schopenhauer zur Einführung. Junius Verlag, Hamburg 2002.

- Spierling, Volker (Hrsg.) (1987): Schopenhauer im Denken der Gegenwart. Piper Verlag, München 1987.

Nanuli Kakauridze
Akaki Tsereteli State university
Kutaisi Georgia
Nanuli.kakauridze@atsu.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2025.10.30

The Reception of Schopenhauerian *Wille* and *Vorstellung* in Thomas Mann's Essay "Schopenhauer"

Abstract

Thomas Mann's essay "Schopenhauer" was written in response to the proposal from the American Schopenhauer Society in 1938 when the author was in exile in the United States. The essay was first published in America in 1939, and later in England. In the following years, it was translated into many countries worldwide (Netherlands, France, Denmark, Norway, Spain, Bulgaria, Portugal, Sweden, Switzerland, Czech Republic, Greece, Japan, etc.).

In his essay, Thomas Mann perceives Schopenhauer's philosophy as the philosophy of art par excellence and cites the renowned artists and thinkers on German philosopher. He mentions that Tolstoy called him "the greatest genius among humans," Richard Wagner regarded Schopenhauer's doctrine as "a true gift from heaven," and Nietzsche saw him as a great mentor. In his work Unzeitgemäße Betrachtungen, Nietzsche dedicated one chapter titled "Schopenhauer als Erzieher" to him, while his work Die Geburt der Tragödie aus dem Geiste der Musik, according to Thomas Mann, reflects a Schopenhauerian way of thinking.

Thomas Mann points out that Schopenhauer's thinking goes back to the origins of Western thought — the philosophies of Plato and Kant. Schopenhauer regarded both of them as "the greatest philosophers of the West." He inherited Plato's "Ideas" and Kant's "thing-in-itself." Schopenhauer refers to "thing-in-itself" as "Will," which, according to him, is the primary cause of being and the source of all visible world phenomena. Therefore, it is the will to live.

In Mann's view, it is a mistake to think that a person's will is subject to the guidance and commands of intellect. On the contrary, intellect, according to Schopenhauer, is subject to the will, i. e., it reflects human desires. Thomas Mann emphasizes that, although Schopenhauer adopted the "thing-in-itself" from Kant and the "Ideas" from Plato, this did not make him a Kantian or a follower of Plato.

In the final part of the essay, Thomas Mann articulates his stance on the connection between pessimism and humanism. He argues that humanism is in a severe crisis in his contemporary era, and Schopenhauer's pessimism, in his view, actually contains humanism. Schopenhauer transcended the view of humans as mere biological beings, transforming the soul into a stage for the will's transformation and offering the potential for the salvation of the entire world.

According to Thomas Mann, Schopenhauer's pessimistic humanism is forward-looking. Schopenhauer's spiritual sensitivity, his doctrine, life, and philosophy, in Mann's view, were not just the result of reasoning but an act, a deed involving heart and mind, soul and body, which can help in restoring humanity.

Key words: Tomas Mann, Reception of *Wille* and *Vorstellung,* Essay "Schopenhauer"